# მოტორული განვითარების შეფერხების მქონე პირების დასაქმების პრობლემები საქართველოში

**რუსუდან კვიციანი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: სოციალური მუშაობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,მეცნიერებათა დოქტორი ქ-ნ ქეთევან მაყაშვილი.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი**

**2021**

**განაცხადი:**

*როგორც მოცემული სამაგისტრო ნაშრომის „მოტორული განვითარების შეფერხების მქონე პირების დასაქმების პრობლემები საქართველოში“ ავტორი,ვაცხადებ,რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს მიერ შესრულებულ ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ,გამოსაქვეყნებელ მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს,რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.*

***რუსუდან კვიციანი***

***რ.კვიციანი***

***2021 წელი.***

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია შეზღუდული შესაძელობის მქონე პირების, კონკრეტულად კი მოტორული განვითარების შეფერხების მქონე პირების განათლება, დასაქმება, გარემოსა და ტრასპორტის ადაპტირება და საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე სამუშაოს ძიების პროცესში.

კვლევის  პირველადი მონაცემების შესაგროვებლად გამოყენებული იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ კი სიღრმისეული ინტერვიუ. რესპონდენტები შეირჩა მათი გამოცდილებისა და დასაქმების საკითხში ინფორმირებულობის მიხედვით.

კვლევის ერთ-ერთი მიზანია გავიგო, მათი აზრით რა არის ის აუცილებელი საკითხები, რომელიც სახელმწიფომ ან თუნდაც საზოგადოებამ უნდა გადაჭრას პრობლემების მოსაგვარებლად, შევიტყობთ მათ პირად გამოცდილებაზე და იმაზე,თუ როგორ ახერხებენ არსებულ მდგომარეობასთან გამკლავებას.

კვლევამ ნამდვილად წარმოაჩინა მნიშვნელოვანი პრობლემები რომლებიც გამოკითულ რესპონდენტებს აწუხებთ როგორც  დასაქმების ,ასევე  გადაადგილებისა და საზოგადეობის  მხრიდან მათდამი დისკრიმინაციული დამოკიდებულების კუთხით.

 იმისთვის, რომ ამ მნიშვნელოვან საკითხთა ნაწილი მაინც გადაიჭრას, ხელისუფ-ლებამ უნდა აამაღლოს საზოგადოების ცნობიერება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ,რაც ვფიქრობ სკოლის პერსონალის გადამზადებიდან უნდა დაიწყოს, ასევე უნდა გაიზარდოს ადაპტირებული ქუჩების, ტრანსპორტისა და შენობების რაოდენობა.

ვფიქრობ აღნიშნული ნაშრომი საკმაოდ ინფორმაციული და საინტერესო იქნება მომავალი მკვლევარებისთვის, აუცილებელია წარმოვაჩინოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ძირითადი პრობლემები რა უშლით ხელს გახდნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, მიიღონ სრულყოფილი განათლება და დასაქმდნენ ღირსეულ სამუშაოებზე,რაც ყველა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა.

*საკვანძო ტერმინები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მოტორული განვითარების შეფერხების მქონე პირი, დასაქმება*

# ABSTRACT

The paper discusses the education, employment, adaptation of the environment and transport, and the public's attitude towards people with disabilities, particularly those with motor disabilities, both in the workplace and in the job search process.

A qualitative research method, namely in-depth interviews, was used to collect primary research data. Respondents were selected based on their experience and awareness of employment.

One of the aims of the research is to understand what they think are the necessary issues that the state or even the society should solve in order to solve problems, learn about them from personal experience and how they are able to deal with existing problems.

The study really highlighted the significant problems that respondents face in terms of both employment and relocation and discriminatory attitudes towards them by society.

In order to address at least some of these important issues, the government needs to raise public awareness about people with disabilities, which I think should start with the training of school staff. Also, the number of adapted streets, transport and buildings should be increased.

I think this paper will be quite informative and interesting for future researchers, it is necessary to present the main problems of people with disabilities: what prevents them from becoming full members of society, getting a perfect education and employment for decent jobs, which is a fundamental right of all people.

*Key Words: A person with a disability, a person with a motor disability, employment.*

## მადლობა

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორსა და მეცნიერებათა დოქტორს,ქალბატონ ქეთევან მაყაშვილს, ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისთვის. ასევე,მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს,ქალბატონ შორენა საძაგლიშვილს კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისა და თანადგომისთვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი კვლევაში მონაწილე თითოეულ რესპონდენტს,გულწრფელი და საინტერესო პასუხებისთვის